N 3-18 31/01/2014

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ლანა ბერიძის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ

”საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილებისა და „სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის #118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის უ) ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - ლანა ბერიძე.

2. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის იურიდიული განყოფილების სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელ ციალა ჭედიას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დადგენის შესახებ“ აღმასრულებელი დირექტორის 2013 წლის 20 თებერვლის #ს-21 ბრძანება.

ელგუჯა ხოკრიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E–mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge